სპ

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

20 აპრილი, შაბათი, 1991 წ.
№ 72 (10 485) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით კვაჰაძის პრიზზე

გამარჯვებულნი

გუშინ „მართვეს“ სპორტული კომპლექსის სარბიელზე გამოვლინდნენ კრივში ევროპის ექსჩემპიონ დავით კვაჰაძის პრიზის VII გათამაშების გამარჯვებულნი. ფინალისტთა რიგებში მცირე კორექტივი მოხდა, კერძოდ ის, რომ წონა დღეს 60 კგ წონით კატეგორიაში გ. ტოროშელიძე (ქუთაისი) — დ. თულაძის (სენაკი) წყვილში მსაჯებმა ანგარიშით 2:1 გამარჯვება რიონისპირელ სპორტსმენს მიანიჭეს. მაგრამ შემდეგ ერთ-ერთმა გვერდიმა არბიტრმა შეცვალა თავისი გადაწყვეტილება (რაც ხდება ხოლმე სამსაჯო პრაქტიკაში) და, გამარჯვება თულაძეს მიაკუთვნა. ფინალში ქუთაისელის ნაცვლად გავიდა სენაკელი მოკრივე, რომელმაც დასკვნითი ბრძოლა დათმო ჭიათურელ ზ. სებისკვერაძესთან.

დანარჩენ წონებში პრიზები დაიმსახურეს: 40 კგ. ტაშკენტელმა ფ. კობილოვმა, თბილისელმა ა. ალაჯანიანმა (40), ლ. ჩხიტურიძემ (46), ლ. გაბისონიამ (48, ორივე — ზობი), ა. ესაკიამ (50), ა. წულუკიძემ (52), ბ. ალიევმა (54, სამივე — თბილისი), ჭიათურელმა მ. კაპანაძემ (57), ბორჯომელმა გ. მაღრაძემ (66), ე. ნარიმანიძემ (70), ა. შანავამ (74, ორივე — თბილისი), რუსთაველმა ბ. ტიგურიშვილმა (85). სპეციალური პრიზებით — საუკეთესო ტექნიკისათვის დაჯილდოვდნენ ლ. გაბისონია და ა. შანავა. ჯილდო ნებისყოფისათვის მოიპოვა მ. კაპანაძემ.

დ. კვაჰაძის სახელობის მთავარი პრიზი საშუალო წონაში გამარჯვებულ ა. შანავას გადასცა თვით ევროპის ექსჩემპიონმა.

რესპუბლიკური შეჯიბრება აკრობატიკაში

თავს როგორ გრძნობენ, „ნაზამთრალნ“ აკრობატები?

შარშანდელი ნოემბრის შემდეგ საქართველოს აკრობატებს შეჯიბრება არ გაუმართავთ. მიზეზი ის გახლდათ, რომ თბილისის სპორტკომპლექს „მართვეს“ დარბაზში ზამთრობით არ არის შესაფერისი გათბობა და აი, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ „მართვემ“ წლის პირველ ახალრეზობას — რესპუბლიკურ შეჯიბრებას უმასპინძლა. სარბიელზე თბილისის, რუსთავის, ხობუმის, ბათუმის, გურჯაანის, სადგურჯოს 102 სპორტსმენი გამოვიდა.

გია შაროვი, ნიკო როსტიაშვილი

ამ ხნის განმავლობაში, რესპუბლიკის აკრობატთა ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. უპირველეს ყოვლისა ის, რომ სპორტს ჩამოაცილდნენ მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონები: ანგა გიორგობიანი და ნატალია ალესიპოვა — ქალიშვილები ეკატერინეს მათმა პარტნიორმა, 15 წლის ირმა ოვიანმა კი, აგერ უკვე მესამედ გამოიცვალა მეწყვილეები. იგი ახალ პარტნიორებთან ერთად კვლავ გამოცდილ აღმზრდელთან ვლადიმერ გურგენიძესთან ვარშიჯობს.

„ზედა წევრი“ შეიცვალა ჯგუფურად მოვარჯიშეთა „რაზმშიც“. საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ალექსანდრე მავრანგელოვმა დიმიტრი მჭედლიძის ნაცვლად ქუთაისელი გიორგი ნემსაძე მიიწვია.

სარბიელს გამოეთხოვა რესპუბლიკის საუკეთესო აკრობატი წყვილთა შორის თინათინ ვარდიძე. მისი ადგილი დაიკავა ტახმოვარჯიშე ხატია ფანიაშვილმა...

თამრიკო ბეროზაშვილი, ხატია ფანიაშვილი

რესპუბლიკური შეჯიბრების უმთავრესი მიზანი იყო „ნაზამთრალი“ აკრობატების „შეთვალ[illegible]

იხ. მე-2 გვ.

ოპერაცია „ანტი—კუკოჩის“ კრახი

პარიზი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი ვაეთა გუნდებს შორის მოიპოვა იუგოსლავიის „პოპ-84-მა“ (ყოფილმა „იუგოპლასტიკამ“), რომელმაც ფინალში დაამარცხა ესპანეთის „ბარსელონა“ — 70:65 (40:34). ამრიგად, იუგოსლავიის ჩემპიონი ზედიზედ მესამედ გახდა საპატიო პრიზის მფლობელი. მანამდე „ჰეთ-თრიკი“ ამ ტურნირში „შეასრულეს“ რიგის არმიელებმა, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „კრუმინშის გუნდმა“ (1958-1960 წლებში).

ფინალის ფავორიტად ბევრი მიმომხილველი, არცთუ უსაფუძვლოდ, „ბარსელონას“ მიიჩნევდა და მართლაც ესპანელებმა მთელი წინასწარი ტურნირი დირსეულად, მაღალ დონეზე ჩაატარეს. გარდა ამისა, წლევანდელ სეზონში „ბარსელონას“ სათავეში ჩაუდგა „პოპ-84-ის“ ყოფილი მწვრთნელი ბოჟიდარ მალკოვიჩი, რომელსაც სპეციალისტები კუკოჩის ნეიტრალიზაციის მთავარ სპეციალისტად მიიჩნევდნენ. „ბარსელონამ“ თითქოს გადაჭრა კიდეც ევროპის საუკეთესო კალათბურთელის უფნებელყოფის პრობლემა. ყოველ შემთხვევაში, კუკოჩმა თავის კოლექტივს მხოლოდ 8 ქულა შესძინა. სამაგიეროდ, მან „მწვანე გზა“ გაუხსნა თავის ცენტრალურ თავდამსხმელს ზორან სავიჩს, რომელიც ამ დღეს ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გამოდგა — 27 ქულა. ასე რომ, ბოჟიდარ მალკოვიჩის მიერ საგულდაგულოდ მომზადებულმა ოპერაციამ კრახი განიცადა.

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში „მაკაბიმ“ (თელ-ავივი) დაამარცხა პეზაროს (იტალია) „სკავოლინი“ — 83:81 (42:39).

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ჯგუფი

უმაღლესი ჯგუფი. 11 ტური

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „მერცხალი“ (ოზურგეთი) 4:0 (2:1)

გალი. ცენტრალური სტადიონი. 14 აპრილი.

„ამირანი“: მიქაია, აბულელდიანი, ძალამიძე, შამუგია, დოჩია, შიროკი, ღურწკაია, გომონოვი, ქობალია (გეთია), გაბისონია, პაპასკირი (ურთმელიძე).

„მერცხალი“: დუმბაძე, ცერცვაძე (ტუღუში), ბარამიძე, მეკვანაძე, კალატოზიშვილი, ჩხაიძე, კაშია (სალუქვაძე), ათუაშვილი, ჩიგოგიძე, მაკუტაძე, ამაშუკელი.

მსაჯები: მ. მალაღურაძე, შ. ბერიძე, ი. შალამბერიძე (სამივე — თბილისი).

გაფრთხილება: მ. გეთია.

გოლები: ჩიგოგიძე, მაკუტაძე, სალუქვაძე, ქობალია, გომონოვი, გაბისონია-2.

ნონა—სპორტული დიდების გზები

მაისის დასაწყისში აღინიშნება დიდი ქართველი მოჭადრაკის, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის იუბილე. მის უნიკალურ სპორტულ მიღწევებს კარგად იცნობს მთელი სპორტული ხალხი. ჩვენ ვიწყებთ თავისებურ მიმოხილვა-გახსენების ციკლს, ხადაც ლაპარაკია უკვე ლეგენდად ქცეული მოჭადრაკის ძლევამოსილ გზაზე, მის მატჩებზე მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინისათვის.

მოჭადრაკის განსაკუთრებული ნიჭის შემჩნევა, ცხადია, ძნელი არ გახლავთ — სპორტული, მედგარი, შემართებული ხასიათი არ გამორჩება გამოცდილ თვალს. დიახ, ამის გარდა კიდევ რამდენი რამ სჭირდება მსოფლიო ჩემპიონს! დავასახელოთ თუნდაც ერთი აუცილებელი რამ: „ზურგქარი“, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, იღბალი. ხომ საყოველთაოდ არის ცნობილი, ასეთი გამოთქმა, — ბედი სწყალობს, როგორც ჩემპიონსო. აქვე კი დაუმატებენ ხოლმე: ბედი მხოლოდ ძლიერს სწყალობს, ანდა ადამიანი თვით არის თავისი ბედის მჭედელი!

ასეა თუ ისე, ვახტანგ ჭარსელაძემ, ჯერ კიდევ სრულიად ნორჩ ნონა გაფრინდაშვილზე, თქვა, რომ იგი, არც ისე დიდი ხნის შემდეგ, აუცილებლად მოიპოვებდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. კიდევ ერთი რამ იწინასწარმეტყველა სასიქადულო მწვრთნელმა: დადგებოდა დრო, როცა ორი ქართველი ქალი მსოფლიო პირველობას შეეცილებოდა ერთმანეთს. ერთიც აუხდა და მეორეც. არა, იმას, რიდი ვამტკიცებთ, რომ ბატონი ვახტანგი გულთმისანი გახლდათ. იგი, როგორც ღრმა და იშვიათი ინტუიციის მქონე აღმზრდელი, იმდროინდელი საჭადრაკო სიტუაციის ზედმიწევნით მცოდნე, სავსებით დარწმუნებული იყო ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიას დიდ ნიჭში. ასეთ ნიჭიერ ქალიშვილებს უნდა ეთქვათ თავიანთი სიტყვა.

ნონა გაფრინდაშვილის მართლაც ისტორიული დამსახურება ისაა, რომ მან ქალთა ჭადრაკს პირველმა მოუპოვა საკადრისი ავტორიტეტი. მკითხველს შეიძლება შეექმნას აზრი, რომ ჩვენ დაგვავიწყდა ვერა მენჩიკი. რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ, უნდა განვმარტოთ, რომ იმ დროს პირადად მენჩიკი გახლდათ პოპულარული და არა ქალთა ჭადრაკი. ერთი სიტყვით, სიტუაცია სულ სხვაგვარი იყო. მენჩიკის უამრავი გამარჯვება ქალებთან სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში იხსნებოდა მეტოქეთა აშკარა სისუსტით, ჩვენ მოჭადრაკის ძალა კი ვაეებთან შეხვედრებში ვლინდებოდა.

იმდროინდელი ქალთა ჭადრაკის წონა სრულიად უმნიშვნელო იყო. გავიხსენოთ ყველა მატჩი მსოფლიო პირველობაზე 1962 წლამდე. მხოლოდ მენჩიკის მონაწილეობა თუ იწვევდა ერთგვარ ინტერესს. მაგრამ გაჩა ქაკადა მაყურებელი ტურნირს მსოფლიო პირველობაზე 1949-50 წლებში? მაშინ მსოფლიო ჩემპიონი ლუდმილა რუდენკო გახდა. ვერც მისმა მომდევნო მსოფლიო ჩემპიონებმა: ოლგა რუბცოვამ და ელისაბედ ბიკოვამ დააინტერესეს მაყურებლები და გულშემატკივრები.

მას შემდეგ, რაც ნონა გაფრინდაშვილი 15 წლის ასაკში საქართველოს ჩემპიონი გახდა (დაუკვირდით შედეგს — 15,5 ქულა 16 შესაძლებლიდან), მან ერთხელ და სამუდამოდ მოჯადოვა ქართველი გულშემატკივრები.

20 წლის ნონამ თავის ცხოვრებაში პირველად ითამაშა ჰრეტენდენტთა ტურნირში და მთელი ოცი წლით „გამოეთხოვა“ მას. რა თქმა უნდა, ამ დროისათვის მას უკვე კარგად იცნობდნენ საჭადრაკო სამყაროში, არც ის გაოცებდა ვინმეს, რომ სწორედ იგი გამხდარიყო მსოფლიო ჩემპიონის ელისაბედ ბიკოვას მომავალი მეტოქე. ასე, ცხადია, არ ფიქრობდნენ კრნიაჩკაბანიას (ჰრეტენდენტთა ასპარეზობა სწორედ ამ პატარა იუგოსლავიურ ავანაკზე გაიმართა) ტურნირის სხვა უძლიერესი მონაწილეები — მასპინძლები: ვერა ნედელკოვიჩი და მილუნკა ლაზარევიჩი, მსოფლიო პირველობის უკანასკნელი მატჩის მონაწილე კორა ზვორიკინა, ანდა ლარისა ვოლპერტი და ტატიანა ზატულოვსკაია.

ასე არ ფიქრობდნენ, მაგრამ შეჯიბრების მსვლელობისას აღიარეს ძლიერი ოსტატის სიძლიერე — ნონამ 16 შესაძლებლიდან დაუმარცხებლად მოაგროვა 13 ქულა (10 მოგება, 6 ყაიმი), მეორე პრიზიორ ელენტინა ბორისენკოს მთელი ორი ქულით გაუსწრო. რაღა იყო ამ საეჭვო და გასარკვევი?! რაც შეეხება შემოქმედებით მხარეს, ნონამ ისე ბრწყინვალედ მოუგო ერთ-ერთ უშუალო კონკურენტ ლაზარევიჩს, რომ მისი მეფის მესენარ დაფის კიდეზე საკმაო ხანს ვერ ივიწყებენ. სტეინიცის დროდან კარგად ვიცოდით, რომ „ძველ ფე აქტიური ფიგურაა“. მაგრამ ამ თეზისის ერთ-ერთი ნათელი ილუსტრაცია სწორედ ლაზარევიჩ-გაფრინდაშვილის პარტიის დაბოლოება იყო.

დაუვიწყარია ნონას პირველი მატჩი მსოფლიო პირველობაზე მოსკოვში 1962 წელს! ამ ორთაბრძოლის პარტიებს თვალს რომ ვადევნებდი, ხშირად წინა მატჩი მახსენდებოდა. აქვე, მოსკოვში 2

იხ. მე-3 გვ.



ემზარ აბუაშვილი, დიმიტრი კარტოზია, ვაჟა არაყიშვილი, გიორგი ნემსაძე.



ზვიად ხუციშვილი, ვახტანგ თოთლაძე.

თავს როგორ გრძნობთ, „ნაზამთრალო“ აკრობატებო?

(დასასრული)

ბა“, საქართველოს ნაკრებისთვის კანდიდატების შერჩევა.

რა შეიძლება ითქვას ამ თვალსაზრისით? — ის, რომ კვლავ დიდია სხვაობა ლიდერებისა და „მეორე ნომერთა“ ოსტატობას შორის, აღარაფერს ვიმბობთ დანარჩენებზე. მხოლოდ მხტომელ ვაჟებში არიან თანაბარი სიძლიერის აკრობატები (ხეთაგური, ქათამაძე, კონდრატიევი, მეტრეველი და პეტრიაშვილი). სპორტსმენთა მომზადებაში ასეთ განსხვავებას, ცხადია, მწვრთნელთა არათანაბარი კვალიფიკაცია განაპირობებს. მეორე მხრივ, საკმაოდ ჭირს მათი მიზიდვა. მაგალითად: აჭარაში, კერძოდ, ბათუმში, დღესდღეობით მხოლოდ მხტომელთა ერთი მწვრთნელი — იური მურვანიძე მუშაობს, მეორე მწვრთნელმა ნული აფაქიძემ ამ დამქანცველ, სანერვიულო და ხშირად დაუფასებელ საქმიანობას ექსტრასენსობა ამჯობინა.

სეზონის გახსნის კვალობაზე სპორტსმენები ფიზიკურად და ტექნიკურად ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ. შეჯიბრება, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისელთა უპირატესობით წარიმართა. მათ მხოლოდ შერეულ წყვილთა შორის დათმეს პირველობა — გაიმარჯვეს რუსთაველებმა გია შაროვმა და ნინო როსტიაშვილმა.

სპეციალისტებისა და მაყურებელთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა სპორტის ოსტატთა თანრიგში მოასპარეზე დებიუტანტების გამოსვლა. ქალთა წყვილებში გამოცდილ თამრიკო ბეროზაშვილს მხარი აუბა ხატია ფანიაშვილმა — მათ კარგად გაართვეს თავი საკარჯიშო პროგრამას და გაიმარჯვეს. თავი გამოიჩინა აგრეთვე გიორგი ნემსაძემ — მიუხედავად იმისა, რომ მის გამოსვლებს ერთგვარი გაუბედაობა ეტყობოდა, პარტნიორების — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების: ემზარ აბუაშვილის, დიმიტრი კარტოზიას და ვაჟა არაყიშვილის ნაღალმა კვალიფიკაციამ თავისი გაიტანა — ამ ოთხეულმა პირველი ადგილი არავის დაუთმო.

ქალთა ჯგუფურ ვარჯიშში გაიმარჯვეს რუსიკო ჭონიაშვილმა, თეა კიკნიშვილმა და ლალი მეტრეველმა, ვაჟთა წყვილებში — ზვიად ხუციშვილმა და ვახტანგ თოთლაძემ.

მხტომელ ქალთა და ვაჟთა ასპარეზობა უაღრესად დაძაბულად წარიმართა. შეჯიბრების ბოლომდე გაურკვეველი იყო, ვინ გაიმარჯვებდა. საბოლოოდ, ქალთა შორის ლალი მეტრეველმა იმარჯვა, ვაჟებში — კახა ქათამაძემ.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი; 2. რუსთავი; 3. ქუთაისი.

შეჯიბრების შესახებ აზრის გაზიარება ვთხოვეთ საქართველოს აკრობატთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ანატოლი სლივკოვს.

— ნაკრების ბირთვი ურიგოდ არ გამოიყურება. მოგეხსენებათ, ჩვენი აკრობატები საუკეთესო სპორტულ ფორმას მოგვიანებით აღწევენ. მიზეზი არ ეხალია — ზამთრობით არ გვაქვს სათანადო სავარჯიშო პირობები. მართალია, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ორჯერ მოვაწყვეთ შეკრება, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. სამწუხაროდ, ამ პრობლემას მარტო თბილისში როდი ვუჩივით, ასეა მთელ საქართველოში. სამწუხაროა ისიც, რომ ქართულმა აკრობატიკამ მსოფლიო აღიარებას მხოლოდ ორიოდე მწვრთნელის ნიჭიერებითა და დაუღალავი შრომით მიაღწია. საჭიროა მწვრთნელთა მატერიალური დაინტერესება, ნორმალური სავარჯიშო პირობების შექმნა, რათა თავი დავაღწიოთ მწვრთნელთა „მწვავე დეფიციტს“.

ჯემალ კასრაძე





რუსიკო ჭონიაშვილი, თეა კიკნიშვილი, ლალი მეტრეველი (მარცხენა ხურთუმზე); ლალი მეტრეველი, კახა ქათამაძე.

ავტორის ფოტოები.

თქვენთვის, გულშემატკივრებო!

მეორე, შევსებული...

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე გულშემატკივრებმა ოპერატიულად მიიღეს ქართულ ენაზე დასტამბული ცნობარი „საქართველოს 1991 წლის საგაზაფხულო ჩემპიონატი ფეხბურთში“, რომლის ტირაჟი 10 000 გახლდათ და ყველა ეგზემპლარი თბილისში ჩემპიონატის გახსნის დღესვე გაიყიდა. რესპუბლიკის რაიონებისა და სხვა ქალაქების ფეხბურთის მოყვარულნი გულნაკლულნი რომ არ დარჩენილიყვნენ, „ლელოს“ ფურცლებზე მაშინ გამოითქვა სურვილი, რომ ცნობარი გაბეჭდილ-ლიყო.

და აი, მკითხველმა მიიღო მეორე გამოცემა, სადაც ადრე დაბეჭდილ მასალებს დაემატა პირველ ჯგუფში მოასპარეზე გუნდების განაკადები. ასე რომ, განახლებული ცნობარი დიდად წაადგებათ ფეხბურთის გულშემატკივრებს.

ცნობარი, რომლის ავტორი-შემდგენელია ოლეგ გველესიანი, რედაქტორი ვაჟა ჟღენტი, მხატვარი არსენ ბერძენიშვილი, დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში. განმეორებითი ტირაჟის რაოდენობა ათი ათასია. ფასი 90 კაპიკი.

ერთი, ნინიაშვილების ოჯახიდან

ძნელად თუ მოიძებნება ჩვენში ფალავანი, რომელსაც ქართული არ ეჭიდავოს. ჩვენი მადლიანი ჭიდაობა ხომ ქართველ კაცთან ერთად დაიბადა და აი, უკვე ხაუკუნეების მანძილზე ხახელოვანი წინაპრების ვაუკაცურ სულს აგრძელებს.

უფროსები დღესაც დიდი სიტკბოთი იგონებენ ნახერხმყრილ სარბიელს და საყვარელი ფალავნების — კულა გლდანელის, ნესტორ ესებუას, კოსტა მაისურაძის, შაშო ვერელის, სანდრო კანდელაკის და სხვათა ჭიდაობას.

დიახ, ქართულ ჭიდაობას ხალიჩის არაერთი შესანიშნავი ოსტატი აღუზრდია — თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობებისათვის, ძიუდოსათვის, სამბოსათვის. სხვადასხვა დროს ოლიმპიურ თამაშებში მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებულნი იყვნენ არსენ მეკოკაშვილი, დავით ციმაკურიძე, გივი კარტოზია, ვახტანგ ბალავაძე, ავთანდილ ქორიძე, ლევან თედიაშვილი, რომან რურუა, ვლადიმერ რუბაშვილი, ანზორ კიკნაძე, შოთა ჩოჩიშვილი, თემურ ხუბულური, შოთა ხაბარელი და სხვანი.

ქართული ჭიდაობის განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის სპორტის დამსახურებულ მწვრთნელს ძიუდოსა და სამბოში, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს ქართულ ჭიდაობაში, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ქრისტეფორე ნინიაშვილს. სწორედ მან აღზარდა ისეთი ხახელოვანი ფალავნები, როგორნიც არიან ხალიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორე ევროპის ექვსგზის გამარჯვებული ანზორ კიკნაძე, ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონები: ოთარ შინჯიკაშვილი, შოთა დაუშვილი, ლავრენტი კაციაშვილი, დურმიშხან ბერუაშვილი, თენგიზ ელერდაშვილი, ზაქრო მუხიაშვილი, ანზორ ზურაბაული...

მისი მეცადინეობით აღიზარდნენ ცნობილი მწვრთნელები: ბიძინა მაზიაშვილი, გურამ პაპიტაშვილი, ომარ მერებაშვილი, შოთა ზუკაკიშვილი...

დიდია ქრისტეფორე ნინიაშვილის ღვაწლი ქართული სპორტის განვითარების საქმეში. იგი ხომ 1950 წლიდან ქართული ჭიდაობისა და სამბოს საქართველოს ფედერაციების წევრია. ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა აღნიშნულ ფედერაციებს და დღესაც სამბოს ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანია.

● ბატონო ქრისტეფორე, 70 წელს მიღწეულ კაცს ბევრი რამ შეუძლია გაიხსენოს.

— კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში დავიბადე და გავიზარდე. იმ ხანად ქართული ჭიდაობა თითქმის ყველა დღესასწაულზე იმართებოდა. ჯერ უფროსი ფალავნები ეჭიდავებოდნენ ერთმანეთს, მერე კი, ისინი რომ მოათავებდნენ „საქმეს“, ბავშვები გადავცვივდებოდით საჭიდაო წრეში და ერთმანეთთან ვბღლარძუნობდით. ასე, თანდათანობით ვისწავლე ჭიდაობა, მერე, როცა საცხოვრებლად თბილისში გადმოვედი ბებიასთან, და ბაბუასთან, ცხრა ძმის ქუჩაზე, ჭიდაობას მაინც არ მოვეშვი. გავიგებდი თუ არა, რომ რომელიმე უბანში იმართებოდა მოჭიდაეთა შეჯიბრება, მეც იქ გავჩნდებოდი.

ომი დაიწყო და ქრისტეფორე ნინიაშვილი ერთ-ერთი პირველი ჩადგა ჯარისკაცთა რიგებში, 1944 წლის ზაფხულში სტალინგრადთან ბრძოლაში დაიჭრა და შინ დააბრუნეს. ჩოვლეში გული აღარ გაუძერდა და თბილისს მიაშურა — ავტოსარემონტო ქარხანაში დამხმარე მუშად მოეწყო.

სწორედ იმ პერიოდში ქალაქში საქარხნო-საფაბრიკო სპარტაკიადა ტარდებოდა, ქრისტეფორემ მონაწილეობა მიიღო მოჭიდავეთა ტურნირში და პირველობა მოიპოვა. შეჯიბრებას ძველი მოჭიდავე ილო თომაშვილი ხელმძღვანელობდა, რომელმაც ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ჭიდაობის სექციაში მიიწვია. აქ იგი ერთდროულად ქართულ ჭიდაობასა და სამბოში ვარჯიშობდა, რაოდენ დიდი იყო მისი სიხარული, როდესაც სულ რამდენიმე თვის შემდეგ, საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა ქართულ ჭიდაობაში. მაყურებლით სავსე თბილისის ცირკის ტრიბუნები გულთბილად მიესალმა უცნობ ჩემპიონს.

1947 წელს ლენინგრადში „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა მოეწყო სამბოში. სწორედ აქ მოხდა ქრისტეფორე ნინიაშვილის ნათლობა როგორც სამბისტისა. მან აღმავლობით ჩაატარა ყველა შეხვედრა და მხოლოდ ფინალში დათმო პაექრობა ქვეყნის ჩემპიონთან, მოსკოველ ევგენი ჩუმაკოვთან (დღეს იგი მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორია), მომდევნო წლებში კი ქართველმა ფალავანმა ზედიზედ ორჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი — მოსკოვში (1948 წელს) და ლენინგრადში (1949 წელს).

● დამსახურებული მწვრთნელი ბრძანდებით, როგორ დაიწყო თქვენი, როგორც მწვრთნელის გზა?

— როდესაც „დინამოში“ დავიწყე ვარჯიში, პარალელურად ჩემს მწვრთნელს ვეხმარებოდი. ზოგჯერ დამოუკიდებლადაც ვატარებდი ვარჯიშს. ექვსი წლის შემდეგ, თომაშვილის ავადმყოფობის გამო, საქართველოს სამბისტთა ნაკრები გუნდის მწვრთნელად მე დამნიშნეს. 24 წელი ვედექი სათავეში ჩვენს ნაკრებს და ამ ხნის განმავლობაში არაერთი გამარჯვება მოვიპოვეთ, მერე ნაკრების ხელმძღვანელობა ჩემმა მოწაფემ გივი კახაბრიშვილმა განაგრძო, მე კი „დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოში გადავედი მწვრთნელად და იქ დავრჩი პენსიაზე გასვლამდე.

● სპორტული ცხოვრების მანძილზე საგანგებო შემთხვევებიც გქონიათ ალბათ?

— მინსკში ქვეყნის პირველობაზე ყაზანელ სოფინს ვხვდებოდი. ლეიბის ნაპირას ვჭიდაობდით. მსაჯმა მოგვცა „გაშველების“ ნიშანი. ხელები გავუშვი. უცებ მეტოქემ ამიყვანა და ძირს დამანარცხა. მხარი ვიტკინე, არადა, შეხვედრას აშკარად ვიგებდი. მეორე წელს სოფინს რიგაში შეეხვდი, გაბრაზებულმა, რომ იტყვიან, „შავი დღე ვაყარე“ — მეტოქე გაიქცა ხალიჩიდან, მოაჯირს გადაევლო და სადღაც გაუჩინარდა.

● სპორტული ოჯახიდან ბრძანდებით — თქვენი ძმა აკაკიც ხომ მოჭიდავე იყო, ვაჟიშვილი ელგუჯა კი — ევროპის ჩემპიონი.

— მამაჩემიც ძველი მოჭიდავე გახლდათ, ოთხი შვილი ვყავდით: ამირანი, მე, ონოფრე და აკაკი. ოთხივე მამის კვალს გავყევით. სამწუხაროდ, ამირანი და ონოფრე გამოგვაკლდნენ. დავრჩით მე და აკაკი. იგი თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში გამოდიოდა, ორგზის პრიზიორი იყო. დღეს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელია, დინამოელ სამბისტებს ავარჯიშებს. ჩემი უფროსი ვაჟი ჯემალი კალათბურთში გაიტაცა. თბილისის „ბურევესტნიკში“ თამაშობდა და საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ორჯერ მოიპოვა პირველობა ახალგაზრდებში. მეორე ვაჟი — ელგუჯა, ევროპის ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებში, მოზრდილებში მეორე პრიზიორი იყო, „დინამოს“ საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონი. რომ არ დაშავებულიყო, ალბათ, უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევდა. მესამე ვაჟი — გივი ცურვას მისდევდა, თუმცა, მერე რატომღაც შეეშვა. ექვსი შვილიშვილი მეზრდება, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთი მისდევს სპორტს — კარატისტობა უნდა. ვნახოთ, რას იზამს!

● თუ დაგრჩათ განუხორციელებელი ნატვრა?

— ახალგაზრდობაში საერთაშორისო სარბიელზე გასვლაზე ვოცნებობდი და თბილისში გამარჯვებით დაბრუნებას, მერე — ერთთავად ელგუჯას დიდ ჩემპიონობაზე ვფიქრობდი. ახლა, ჩემი ოცნებაა, რომ ქართული ჭიდაობა საქართველოს ფარგლებს გასცდეს და მთელი მსოფლიო მოიცვას!

ესაუბრა რამინ უურაშვილი.

ნონა—

სპორტული დიდების გზები

(დასასრული)

მართული 1959 წელს, ელისაბედ ბიკოვასა და კირა ზვორიკინას შორის. ზვორიკინა უფრო ნიჭიერ მოჭადრაკედ ითვლებოდა, ბიკოვა კი — უფრო შეუპოვრად. ეს ის შემთხვევა გახლდათ, როცა შეუპოვრობამ აჯობა ნიჭიერებას, თუმცა, ახლა ამაზე არ ღირს ლაპარაკი. არც იმის უთქმელობა იქნება, რომ ამ ორთაბრძოლას მუდმივად ესწრებოდა ორი სეკუნდანტი და ორი ჟურნალისტი! ხანდახან ჟურნალისტთა რიცხვი სამამდე იზრდებოდა, ეს იყო და ეს. დარბაზში მყოფ მაყურებელთა რაოდენობა სცენაზე მყოფთ არ აღემატებოდა.

როგორ არა ჰგავდა ამ ორთაბრძოლას ბიკოვა-გაფრინდაშვილის შეხვედრა! — 9:2. — ეს ანგარიში ხომ არავითარ კომენტარს არ საჭიროებდა. ქართველი მოჭადრაკის დიდებულმა თამაშმა აიძულა გულშემატკივრები, მეტი პატივი ეცათ ქალთა ჭადრაკისთვის. თურმე, ნუ იტყვით, აქაც შესაძლებელი ყოფილა ლამაზი კომბინაციების გათამაშება, მეფეთა დაშამათება და ელვისებური შეტევა, რაც ასე უყვართ გულშემატკივრებს. რა თქმა უნდა, ისინი აფასებენ ღრმა მანევრებსაც და ოსტატურ ენდშპილსაც, მაგრამ შეტევისა და შეწირვების გარეშე ჭადრაკის მუდმივ მაყურებელსა და პატივისმცემელს რა გააძღებინებს. ახალი მსოფლიო ჩემპიონის სტიქია კი, პირველ რიგში, იერიში იყო.

მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებასთან ერთად, ნონამ სისტემატურად დაიწყო მონაწილეობა ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებში. ამ დროიდან დაარსდა „ნონა გაფრინდაშვილის კლუბი“, სადაც ის ცნობილი ვაჟი დიდოსტატები ირიცხებიან, რომელნიც ქართველმა მოჭადრაკემ დაამარცხა. ერთხელ საერთაშორისო არბიტრმა ნინა გრუშკოვა-ბელსკამ (ჩეხოსლოვაკია) გვითხრა: „როდესაც რადიოში მოვისმინე, რომ ნონამ ჰასტინგსში კერესთან ,,ყაიმს მიაღწია (ეს 1965 წელს იყო), ძალიან გამეხარდა. საქმე მარტო ის კი არ იყო, რომ კერესს ეს ყაიმი შეეძლება პირველი პრიზის დაკარგვად დასჯდომოდა. პაულ კერესი ხომ თითქმის 30 წელი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლებოდა. მართალია, კერესი ცნობილი ჯენტლმენია, მაგრამ ამ პარტიას მთელი მონდომებით თამაშობდა, რასაც სატურნირო მდგომარეობა აიძულებდა“.

გავიდა სამი წელი და გამოვლინდა მსოფლიო ჩემპიონის ახალი მეტოქე. ეს მოსკოველი ალა კუშნირი იყო. ბევრი ექსპერტი არ მოელოდა მის ასეთ წარმატებას, ფიქრობდა, რომ პრეტენდენტის წოდება ამ დროისათვის უფრო ტატიანა ზატულოვსკაიას ან მილუნკა ლაზარევიჩს შეეფერებოდა. ვინ იცის, იქნებ ასეც იყო. ვინც სოხუმში პრეტენდენტთა ტურნირს ადევნებდა თვალს, ეხსომება, რომ კუშნირი აქ ძუძუთა ბავშვით ჩამოვიდა. საყურადღებოა ისიც, რომ ალა არ აპირებდა სოხუმში პირველი ადგილისთვის ბრძოლას (ყოველ შემთხვევაში, იგი ასე აცხადებდა). საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ პრეტენდენტთა ტურნირის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე, როდესაც არავის ეპარებოდა ეჭვი ლაზარევიჩის გამარჯვებაში, „ახალი ამბების“ სააგენტომ ნონას მომავალ მეტოქეს, იუგოსლავიის ჩემპიონს საგანგებო მიმოხილვა მიუძღვნა. ამ მიმოხილვის ავტორი იყო... კუშნირი! როდესაც მოგვიანებით ჯერ ლაზარევიჩს, მერე კი ზატულოვსკაიას ყველაფერი „წყალში ჩაეყარათ“, ეტყობა, კუშნირმა ინანა ასეთი წერილის გამოქვეყნება.

რიგის მატჩისათვის პრეტენდენტის მომზადებაში მონაწილეობდნენ დიდოსტატები ვიქტორ კორჩნოი და ვლადიმერ სმაგინი. ეს გამოჩენილი მოჭადრაკეები შემთხვევით როდი შეარჩიეს. გაითვალისწინეს, რომ კუშნირი, პოზიციური ყაიდის მოჭადრაკე, კომბინაციური თამაშის ხელოვნებაში აშკარად ჩამოუვარდებოდა მსოფლიო ჩემპიონს. და აი, კომბინაციური სტილის მოჭადრაკეებთან ბრძოლის უბადლო სპეციალისტმა კორჩნოიმ და მეტად თავისებური მანერის ხელოვანმა სმაგინმა იკისრეს კუშნირის მომზადება. თუმცა, ისინი რიგაში არ ჩამოსულან, აქ პრეტენდენტს მისი აღმზრდელი, გამოცდილი მწვრთნელი ბორის პერსიცი და ოსტატი ვლადიმერ იურკოვი ეხმარებოდნენ.

ამ მატჩამდე მეტოქეთა მეხვედრების ანგარიში იყო 4:3. ნონას სასარგებლოდ, მაგრამ ამ დროისათვის ძალთა ეს თანაფარდობა მოჩვენებითი იყო — უკანასკნელ წლებში ნონა ამარცხებდა მეტოქეს. დასაწყისი, ერთგვარად, მოულოდნელი გამოდგა — სამი პარტიის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო— 1,5:1,5. ერთი რამ ფაქტია — კუშნირი მშვენივრად მომზადებულიყო, განსაკუთრებით სადებიუტო თვალსაზრისით. იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ვერც ზატულოვსკაია და ვერც ლაზარევიჩი ვერ გაუწევდნენ ჩემპიონს ასეთ წინააღმდეგობას. ისიც ცხადი გახდა, რომ ნონა ვერ „ათამაშდა“, საამისოდ მას კიდევ ცოტაოდენი დრო სჭირდებოდა.

ხშირად ვესაუბრებოდი კუშნირის მწვრთნელებს. თანაბარმა სტარტმა ისინი აშკარად დააიმედა, — ვერ გამიგია, როგორ ვერ მონახა ალამ გამარჯვების სვლა მესამე პარტიაში? — ამბობდა პერსიცი. მაგრამ ალას მწვრთნელს აშკარად ავიწყდებოდა, რომ, სადაც ხელოვნური ბრძოლაა, იქ უეცდომებსაც ხშირად უშვებენ.

„ყინული ღიღრა“. 5 პარტიის შემდეგ ანგარიში გახდა 4:2, ჩემპიონის სასარგებლოდ. კუშნირის მარცხს პრეტენდენტის მწვრთნელები ციტინტს აბრალებდნენ, საერთაშორისო არბიტრი იაკობ როხლინი კი უფრო ობიექტური იყო: „რა შუაშია აქ დროის ნაკლებობა! ხომ ცხადია, რომ კუშნირი მეტოქეზე უარესად თამაშობს. დავუშვათ, მას მოეგო ერთი პარტია, მოეგო მეორეც. განა ეს გავლენას მოახდენდა მატჩის საბოლოო შედეგზე?!“.

რიგის მატჩი, ალბათ, ქალთა პირველი შეჯიბრება იყო, რომელსაც ფართოდ აშუქებდნენ მთელ მსოფლიოში. ყოველ დილით, ორივე ბანაკის მწვრთნელები უამრავ გაზეთს ყიდულობდნენ. სტენდალი წერდა: „მკითხველი ორ შემთხვევაში რჩება ავტორით უკმაყოფილო, პირველი, როდესაც საკითხი მეტად საინტერესოა; მეორე, როდესაც იგი, პირიქით, ფრიად უინტერესოა“. არ ვიცი, კმაყოფილი იყო თუ არა მკითხველი ამ მატჩის თაობაზე დაწერილი წერილებით, მწვრთნელები კი ხშირად ემდურიდნენ მიმომხილველებს.

რიგაში იმყოფებოდნენ საკავშირო რადიოს სპორტულ გადაცემათა მთავარი რედაქტორი შამილ მელიქ-ფაშაევი და „სოვეტსკი სპორტის“ მიმომხილველი ალექსანდრე კოკაძე. ისინი არ მალავდნენ, რომ ნონას თანაუგრძნობდნენ. „ჩვენ მოსკოველები ვართ, მაგრამ ძარღვებში კავკასიელთა სისხლი გვიჩქეფს“. ნონა გრძნობდა მათ „კავკასიურ სოლიდარობას“.

ანგარიში კი თანდათან ნონას სასარგებლოდ იზრდებოდა. მერვე პარტიაში პრეტენდენტი, რომელზეც იმოქმედა ამდენმა წაგებამ, სათანადო მომზადების გარეშე შეეცადა თეორების პოზიციის დალაშქვრას. „სხვებს ქვებს ნუ ესვრი, თუ თვითონ შუშაბანდში ცხოვრობ“ — — ეს ინგლისური ანდაზა გამართლდა. უნდა გენახათ, რა ხუხულასავით დაიშალა კუშნირის პოზიცია.



ზეიმზე...

6:2! — ეს უკვე დიდი ანგარიში იყო, მაგრამ ინტერესი მატჩისადმი არ ნელდებოდა. ყველაზე უფრო დაუდგენელი ქართველი გულშემატკივრები ვერ ითმენდნენ და რიგაში მოეგზავრებოდნენ. მათი რიცხვი დღითი დღე მატულობდა. რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში იმდენ ნაცნობ სახეებს ვხვდებოდით, რომ შთაბეჭდილება გვექმნებოდა, თითქოს ორთაბრძოლა თბილისში მიმდინარეობდა,

როგორ შეიცვალა კუშნირის მწვრთნელების განწყობილება? პერსიცი პარტიის მსვლელობის დროს პრეს-ცენტრში სვლებს იწერდა და თავისი მოწაფის თამაშს აკრიტიკებდა. იურკოვი ამბობდა: „ამ მატჩმა ისე მომქანცა, რომ ჭადრაკს კარგა ხანს აღარ გავეკარები“. ნონას მწვრთნელები კი მეტად გამხიარულდნენ. შიშვი დილაობით ნონას სპორტულ დარბაზში მიჰყვებოდა მაგიდის ჩოგბურთის სათამაშოდ. ომსკიდან ჩამოსული გურგენიძე თბილისისაკენ მიიჩქაროდა: „რამდენი ხანია შინ აღარ ვყოფილვარ! აქ უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია, გამგზავრება შეიძლება!“ მაგრამ მწვრთნელი როგორ დატოვებდა რიგას, ვიდრე ყველაფერს წერტილი არ დაესმებოდა — ასე ხომ ჟურნალისტები იქცეოდნენ (მოსკოველი მიმომხილველები კარგა ხანია, გაემგზავრნენ და თავიანთი საქმეები რიგელ კოლეგებს გადაბარეს... და ზოგიერთი გულშემატკივარიც. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ქართველი გულშემატკივრების უმრავლესობა არ ჩქარობდა, — მინდა ნონას დაფნის გვირგვინით შემკობას დავესწრო — თქვა ძველმა მთამსვლელმა და ჭადრაკის ტრფიალმა მარო ტყავაძემ — ახლა მხოლოდ ერთი რამ მადარდებს — კუშნირმა არ აიღოს მორიგი „ტაიმ-აუტები“, თორემ მატჩი ძალიან გაჭიანურდება.

მარო ტყავაძის წინათგრძნობა გამართლდა. პრეტენდენტმა გამოტოვა ორი სათამაშო დღე და მთელი კვირა ბრძოლა არ განახლებულა. რა იყო ეს?! — უთუოდ უკანასკნელი ძალების მოკრება შეუპოვარი წინააღმდეგობის გასაწევად. კუშნირს, ცხადია, კარგად ესმოდა, რომ ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ, გასაგებია, არ უნდოდა მატჩის ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით წაგება. ოთხი ქულის უპირატესობა ხომ ძალზე ბევრს ნიშნავდა, ამასთან, კუშნირი, ეტყობა, გულის სიღრმეში იმედოვნებდა, შესაძლოა, ნონამ ყურადღება მოადუნოსო და მაშინ...

მატჩის მსვლელობამ გვიჩვენა, რომ პრეტენდენტი საჭადრაკო მებრძოლის იშვიათი თვისებებით იყო მდიდარ-დოებული. რვა პარტიის შემდეგ ანგარიში 6:2, ვისაც გნებავთ, გულს გაუტეხდა, კუშნირი კი წარბსაც არ იხრიდა. მეცხრე პარტიაში იგი ისე თამაშობდა, თითქოს ყველაფერი წინ იყო. დაახლოებით თანაბარ პოზიციაში მან მსოფლიო ჩემპიონს მახვილგონივრული მახე დაუგო. ნონას არც კი უფიქრია, ისე გააკეთა საპასუხო სვლა. პაიკის შეწირვის შემდეგ პრეტენდენტი დიდხანს ფლობდა ინიციატივას, მაგრამ შაები ზუსტად იცავდნენ თავს და შეხვედრაც ყაიმით დასრულდა. „დღეს ჩვენ უკვე გავასწარით ბიკოვას — იხუმრეს კუშნირის მწვრთნელებმა — 11 პარტიის შემდეგ მას მხოლოდ 2 ქულა ჰქონდა, ჩვენ კი 9 პარტიის შემდეგ, 2,5 ქულა გვაქვს“. რა თქმა უნდა, ერთ რამეში ისინი მართალი იყვნენ — კუშნირი გაცილებით უკეთ თამაშობდა, ვიდრე ბიკოვა. ეს ითქმოდა სადებიუტო მომზადებაზეც, ტექნიკაზეც, სტრატეგიაზეც და ტაქტიკაზეც.

„დაჭრილი“ კუშნირი რომ კვლავ საშიში მეტოქე იყო, ეს მეათე პარტიამაც დაადასტურა. ამ შეხვედრის მოგების შეთხვევაში ნონა, ფაქტობრივად, აგვირგვინებდა მატჩს, ამიტომ მას ყაიმის გაგონებაც არ სურდა. სიცილიურ დაცვაში, რომელიც პრეტენდენტმა პირველად გამოიყენა, ჩემპიონმა გვერდი აუარა თეორიულ გაგრძელებებს. კუშნირმა მოიგო ეს პარტია და ერთგვარად „გამოაკეთა“ ანგარიში.

არა, ნონას ხელს არ აძლევდა სამი ქულის უპირატესობა. ეს აშკარა გახდა მომდევნო, მეთერთმეტე პარტიაში. ინდური დაცვა ჩემპიონის საყვარელ დასაწყისთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგრამ მანამდე ნონას იგი არ გამოუყენებია. ეტყობა, გადაწყვეტილ ბრძოლებისთვის ინახავდა ალბათ. მან ეს მეთერთმეტე დებიუტი ისეთ დროს გათამაშა, როცა არავინ ელოდა. ყოველ შემთხვევაში, კუშნირი დაწყებისადვე სიძნელეებს წააწყდა, ერთ მომენტში მას შეეძლო ყაიმისთვის მიეღწია, მაგრამ „მორიგ“ ციტინტში შეცდომა დაუშვა და წააგო.

მატჩის დასასრულს აღარაფერი უკლია, უკვე შეიძლება ჩემოდნების ჩალაგება — თქვა იურკოვმა. გურგენიძე თბილისში გაემგზავრა და საქართველოს პირველ საერთაშორისო ტურნირში ჩაება. ნონამაც მიიღო მიწვევა (თანხმობის შემთხვევაში, ორგანიზატორები მას, რასაკვირველია, მოუცდიდნენ — გადაწვევდნენ შეჯიბრების დაწყების დროს), მაგრამ, ცხადია, უარი განაცხადა. საქმე ის არის, რომ ასეთი ანგარიშის მიუხედავად, მატჩის შინაგანი დაძაბულობა მაინც დიდი იყო. არც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობას ჰქონდა აზრი.

რიგელ ქართველთა „კოლონია“ თბილისში გასამგზავრებლად ემზადებოდა, მაგრამ ყველა უცდიდა საბოლოო ტრიუმფს. უკვე ჩამოიტანეს დაფნის გვირგვინი. გამახსენდა, რა ამბავი იყო მოსკოვში სამი წლის წინ, როცა ქართველი მოჭადრაკე ფიდე-ს სახელით პირველად დაჯილდოვეს ამ გვირგვინით..

25 ოქტომბერი დადგა. ნონამ თავისი ენერგიული, შემტევი სტილით წარმართა მეცამეტე პარტია. ცხადი გახდა, რომ პრეტენდენტი ვერ შეძლებდა თავის დაცვას — ჩვენ ხომ ამ მატჩში ნაკლებად ვიყავით პირდაპირი იერიშების მოწმენი. რითი იყო ეს გამოწვეული? ნინა გრუშკოვა — ბელსკას მოწმობით, მსოფლიო ჩემპიონმა ეს ძნელი ორთაბრძოლა პოზიციური მანერით წარმართა. თითქოს ასეთი ტაქტიკა ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო მოსკოველი მოჭადრაკისთვის, რომელიც დახელოვნდა მანევრულ ბრძოლაში, ენდშპილში. რაც შეეხება პირდაპირ „შეხლა-შემოხლას“, ამ სფეროში იგი ბევრად ჩამოუვარდებოდა ნონას, მაგრამ ქართველმა მოჭადრაკემ დაამტკიცა, რომ პოზიციურ ბრძოლაშიც სჯობნიდა პრეტენდენტს. ენდშპილში იგი გაცილებით უკეთესად თამაშობდა, ვიდრე მეტოქე.

ერთი სიტყვით, ანგაროში 8,5:4,5. ნონას სრულ უპირატესობაზე მეტყველებდა. იგი ნამდვილად ასახავს ძალთა შეფარდებას — გვითხრა გრუშკოვამ-ბელსკამ — ქართველი მოჭადრაკე ისეთი ტალანტია, საუკუნეში ერთხელ რომ იბადება. რაც შეეხება კუშნირს, იგი, რა თქმა უნდა, ფრიად ნიჭიერია, მაგრამ ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცოს, რომ № 2 მოჭადრაკეა მსოფლიოში.

თვით კუშნირი ოდნავაც არ იყო დამწუხრებული მატჩის შედეგით: „ეს ჩემთვის საუცხოო სკოლაა. მსოფლიო ჩემპიონს საკმაოდ „შევეჩვიე“, რაც შემდეგში გამომადგება. საქმე ისაა, რომ ამ მატჩს მე განვიხილავ, როგორც ნონასთან მსოფლიო ჩემპიონის „ტახტისათვის“ დიდი დავის დასაწყისს. დღისათვის, რა თქმა უნდა, მასზე გაცილებით სუსტად ვთამაშობ. ეს აშკარაა, მაგრამ მატჩის პარტიების გარჩევა და თეორიული მეცადინეობები, უნდა ვიფიქროთ, უქმად არ ჩაივლის. ასე რომ, მთელ ენერგიას მოვახმარ იმისათვის მზადებას, რათა მომდევნო მატჩი მსოფლიო პირველობაზე ისევ მე ვითამაშო“.

ბივი გამრეკელი

ევროპის ჩემპიონატი

VI ჯგუფი

როტერდამი. აქ გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ჰოლანდიისა და ფინეთის ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. ჰოლანდიელებს გამარჯვება არ გასჭირვებიათ — 2:0. ბუერთები გაიტანეს მ. ვან ბასტენმა და რ. გულიტმა.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ჰოლანდია	5	4	0	1	13-1	8
პორტუგალია	5	3	1	1	9-3	7
ხაბერძნეთი	3	2	0	1	7-4	4
ფინეთი	3	0	2	1	1-3	2
მალტა	6	0	1	5	1-20	1

VII ჯგუფი

ვარშავა. პოლონეთისა და თურქეთის გუნდების შეხვედრაში მასპინძლებმა მხოლოდ თამაშის მიწურულს შეძლეს უპირატესობის რეალიზება და თურქების კარში ზედიზედ 3 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს (ტარასევიჩი, ურბანი, კოსეცკი).

ირლანდია	3	1	2	0	7-2	4
პოლონეთი	3	2	0	1	4-2	4
ინგლისი	3	1	2	0	4-2	4
თურქეთი	3	0	0	3	0-9	0

„სპარტაკს“ — ორი წაგება

საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ განიხილა მოსკოვის „სპარტაკის“ საკითხი, რომელიც საკავშირო ჩემპიონატის ორ მატჩში — 31 მარტს ტაშკენტის „ფახთაქორთან“ და 5 აპრილს კიევის „დინამოსთან“, სათამაშოდ არ გამოცხადდა.

„სპარტაკის“ ხელმძღვანელობა თავისი გუნდის გამოუცხადებლობას ასაბუთებდა იმით, რომ სპარტაკელები ამხანაგური საწვრთნელი მატჩების ჩასატარებლად იმყოფებოდნენ იაპონიაში და ემზადებოდნენ ევროპის ჩემპიონთა თასზე საფრანგეთის „მარსელთან“ სათამაშოდ.

სადისციპლინო კომისიამ ხმათა უმრავლესობით ორივე ამ მატჩში მოსკოვის „სპარტაკს“ დამარცხება ჩაუთვალა. ამ საკითხზე საბოლოო დადგენილებას მიიღებს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის სხდომა დანიშნულია აპრილის ბოლო რიცხვებში.

ამხანაგური მატჩები

ამ დღეებში გაიმართა ეროვნული ნაკრები გუნდების რამდენიმე ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში. ესპანელები შინ, ქალაქ კასერესში დამარცხდნენ რუმინელებთან — 0:2. რუმინეთის მეორე ნაკრებმა კი ქ. ლონდონში მხოლოდ მინიმალური ანგარიშით წააგო ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებთან —0:1.

ათენში ერთმანეთს შეხვდნენ საბერძნეთისა და შვეიცის გუნდები. თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2. არც ერთი ბურთი არ გატანილა ვენაში გამართულ მატჩში ავსტრიასა და ნორვეგიას შორის, აგრეთვე, სან-ხოსეში, სადაც თამაშობდნენ კოსტა-რიკისა და მექსიკის გუნდები.

დავუჯეროთ სტატისტიკოსებს?

ფეხბურთის სტატისტიკოსების საერთაშორისო ფედერაცია (დიახ, არის ასეთი ორგანიზაციაც) დროდადრო აქვეყნებს ხოლმე მონაცემებს ამა თუ იმ შეჯიბრების. მოვლენის (პრობლემის) შესახებ.

ახლახან ფედერაციამ მოაწყო თავისი წევრების გამოკითხვა — მათ უნდა დაესახელებინათ თანამედროვე ფეხბურთის საუკეთესო მეკარე. ამ გამოკითხვით ადგილები ასე განაწილდა:

1. ძენგა (იტალია), 2. პრიუდომი (ბელგია), 3. კონეხო (კოსტა-რიკა), 4. შილტონი (ინგლისი), 5. ტაფარელი (ბრაზილია), 6. გოიკოეჩეა (არგენტინა), 7. ილგნერი (გერმანია), 8. სტეისკალი (ჩეხოსლოვაკია), 9. სუბისარეტა (ესპანეთი), 10. ბონერი (ირლანდია).

ნუ აწყვეტინებთ „ფერარის“ პოლიტიკას



ავტოსპორტის იტალიელი გულშემატკივრები დარწმუნებულნი არიან, რომ „ფორმულა 1“ კლასში მოასპარეზე მათი სათაყვანებელი გუნდი „ფერარი“ წელს, ბოლოს და ბოლოს, გაიმარჯვებს. ამ გუნდს საკმაოდ მდიდარი ისტორია აქვს. იგი წლების მანძილზე ფავორიტთა შორის იყო და მხოლოდ ბოლო დროს დათმო პოზიციები. ამჟამად გუნდი კვლავ აღმავლობის გზაზეა და ჩვენც გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც თვალნათლივ ჩანს „ფერარის“ მთელი ისტორია.

1950 წელი — ჯუზეპე ფარინა (იტალია, „ალფა რომეო“) — მსოფლიო ჩემპიონი, ალბერტო ასკარი (იტალია, „ფერარი“) — მე-5 ადგილი;

1951 წელი — ხუან მანუელ ფანხიო (არგენტინა, „ალფა რომეო“) — მსოფლიო ჩემპიონი, ალბერტო ასკარი (იტალია, „ფერარი“) — ვიცე-ჩემპიონი;

1952 წელი — ალბერტო ასკარი (იტალია, „ფერარი“) — მსოფლიო ჩემპიონი;

1953 წელი — ალბერტო ასკარი (იტალია, „ფერარი“) — მსოფლიო ჩემპიონი;

1954 წელი — ხუან მანუელ ფანჰიო (არგენტინა, „მაზერატი“) — მსოფლიო ჩემპიონი, ფროილან გონზალესი (არგენტინა, „ფერარი“) — ვიცე-ჩემპიონი;

1955 წელი — ხუან მანუელ ფანხიო (არგენტინა, „მერსედესი“) — მსოფლიო ჩემპიონი, მორის ტრინტინიანი (საფრანგეთი, „ფერარი“) — მე-4 ადგილი;

1956 წელი — ხუან მანუელ ფანხიო (არგენტინა, „ფერარი“) — მსოფლიო ჩემპიონი;

1957 წელი — ხუან მანუელ ფანხიო (არგენტინა, „მაზერატი“) — მსოფლიო ჩემპიონი, ლუიჯი მუსო (იტალია, „ფერარი“) — ვიცე-ჩემპიონი;

1958 წელი — მაიკ ჰოუთორნი (ინგლისი, „ფერარი“) — მსოფლიო ჩემპიონი;

1959 წელი — ჯეკ ბრებემი (ავსტრალია, „კუპერი“) — მსოფლიო ჩემპიონი, ტონი ბრუქსი (ინგლისი, „ფერარი“) — ვიცე-ჩემპიონი;

1960 წელი — ჯეკ ბრებემი (ავსტრალია, „კუპერი“) — მსოფლიო ჩემპიონი, ფილ ჰილი (აშშ, „ფერარი“) — მეხუთე ადგილი;

1961 წელი — ფილ ჰილი (აშშ, „ფერარი“) — მსოფლიო ჩემპიონი;

1962 წელი — გრემ ჰილი (ინგლისი, „ბე-ერ-ემ“) — მსოფლიო ჩემპიონი, ფილ ჰილი (აშშ, „ფერარი“) — მე-6 ადგილი;

1963 წელი — ჯიმ კლარკი (შოტლანდია, „ლოტუსი“) — მსოფლიო ჩემპიონი, ჯონ სარტისი (ინგლისი, „ფერარი“) — მე-4 ადგილი;

1964 წელი — ჯონ სარტისი (ინგლისი, „ფერარი“) — მსოფლიო ჩემპიონი;

1965 წელი — ჯიმ კლარკი (შოტლანდია, „ლოტუსი“) — მსოფლიო ჩემპიონი, ჯონ სარტისი (ინგლისი, „ფერარი“) — მე-5 ადგილი;

1966 წელი — ჯეკ ბრებემი (ავსტრალია, „ბრებემი“) — მსოფლიო ჩემპიონი, ჯონ სარტისი (ინგლისი, „ფერარი“) — ვიცე-ჩემპიონი;

1967 წელი — დენის ჰალმი (ახალი ზელანდია, „ბრებემი“) — მსოფლიო ჩემპიონი, კრის ეიმონი (აშშ, „ფერარი“) — მე-4 ადგილი;

1968 წელი — გრემ ჰილი (ინგლისი, „ლოტუსი“) — მსოფლიო ჩემპიონი, ჯეკი იქსი (ბელგია, „ფერარი“) — მე-4 ადგილი;

1969 წელი — ჯეკი სტიუარტი (შოტლანდია, „მატრა“) — მსოფლიო ჩემპიონი, კრის ეიმონი (აშშ, „ფერარი“) — მე-12 ადგილი;

1970 წელი — იოჰენ რინდტი (ავსტრია, „ლოტუსი“) — მსოფლიო ჩემპიონი, ჯეკი იქსი (ბელგია, „ფერარი“) — ვიცე-ჩემპიონი;

1971 წელი — ჯეკი სტიუარტი (შოტლანდია, „ტაირელი“) — მსოფლიო ჩემპიონი, ჯეკი იქსი (ბელგია, „ფერარი“) — მე-4 ადგილი;

1972 წელი — ემერსონ ფიტიპალდი (ბრაზილია, „ლოტუსი“) — მსოფლიო ჩემპიონი, ჯეკი იქსი (ბელგია, „ფერარი“) — მე-4 ადგილი;

1973 წელი — ჯეკი სტიუარტი (შოტლანდია, „ტაირელი“) — მსოფლიო ჩემპიონი, ჯეკი იქსი (ბელგია, „ფერარი“) — მე-9 ადგილი;

1974 წელი — ემერსონ ფიტიპალდი (ბრაზილია, „მაკლარენი“) — მსოფლიო ჩემპიონი, კლეი რეგაცონი (შვეიცარია, „ფერარი“) — ვიცე-ჩემპიონი;

1975 წელი — ნიკი ლაუდა (ავსტრია, „ფერარი“) — მსოფლიო ჩემპიონი;

1976 წელი — ჯეიმს ჰანტი (ინგლისი, „მაკლარენი“) — მსოფლიო ჩემპიონი, ნიკი ლაუდა (ავსტრია, „ფერარი“) — ვიცე-ჩემპიონი;

1977 წელი — ნიკი ლაუდა (ავსტრია, „ფერარი“) — მსოფლიო ჩემპიონი;

1978 წელი — მარიო ანდრეტი (აშშ, „ლოტუსი“) — მსოფლიო ჩემპიონი, კარლოს რეუტემანი (არგენტინა, „ფერარი“) — მე-3 ადგილი;

1979 წელი — ჯოდი შეკტერი (სამხრეთ აფრიკა, „ფერარი“) — მსოფლიო ჩემპიონი;

1980 წელი — ალან ჯოუნსი (ავსტრალია, „უილიამსი“) — მსოფლიო ჩემპიონი, ჟილ ვილნევი (კანადა, „ფერარი“) — მე-10 ადგილი;

1981 წელი — ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბრებემი“) — მსოფლიო ჩემპიონი, ჟილ ვილნევი (კანადა, „ფერარი“) — მე-7 ადგილი;

1982 წელი — კეკე როსბერგი (ფინეთი, „უილიამსი“) — მსოფლიო ჩემპიონი, დიდიე პირონი (საფრანგეთი, „ფერარი“) — ვიცე-ჩემპიონი;

1983 წელი — ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბრებემი“) — მსოფლიო ჩემპიონი, რენე არნიე (საფრანგეთი, „ფერარი“) მე-3 ადგილი;

1984 წელი — ნიკი ლაუდა (ავსტრია, „მაკლარენი“) — მსოფლიო ჩემპიონი, მიქელე ალბორეტო (იტალია, „ფერარი“) — მე-4 ადგილი;

1985 წელი — ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მაკლარენი“) — მსოფლიო ჩემპიონი, მიქელე ალბორეტო (იტალია, „ფერარი“) — ვიცე-ჩემპიონი;

1986 წელი — ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მაკლარენი“) — მსოფლიო ჩემპიონი, სტეფან იოჰანსონი (შვეიცარია, „ფერარი“) — მე-5 ადგილი;

1987 წელი — ნელსონ პიკე (ბრაზილია, „უილიამსი“) — მსოფლიო ჩემპიონი, გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი“) — მე-5 ადგილი;

1988 წელი — აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენი“) — მსოფლიო ჩემპიონი, გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი“) — მე-3 ადგილი;

1989 წელი — ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მაკლარენი“) — მსოფლიო ჩემპიონი, ნიჯელ მენსელი (ინგლისი, „ფერარი“) — მე-4 ადგილი;

1990 წელი — აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენი“) — მსოფლიო ჩემპიონი, ალენ პროსტი (საფრანგეთი, „ფერარი“) — ვიცე-ჩემპიონი.

წლევანდელ სეზონში გუნდში ორი ახალი პილოტია. თავდაპირველად, იტალიელი გულშემატკივრები განაწყენდნენ „ფერარის“ ხელმძღვანელებზე, რადგან მათ არ მიიწვიეს არც ერთი იტალიელი პილოტი. მოგვიანებით, როცა მათ გაიგეს, რომ ჟან ალეზი წარმოშობით სიცილიელია და დაინახეს ისიც, თუ რა ენთუზიაზმით შეუდგა ფრანგი პილოტი მუშაობას, მღელვარება დაცხრა, ახლა, როცა წინ სან მარინოს „გრან პრის“ გათამაშებაა, ტიფოზები ცდილობენ უტაქტობით არ გააღიზიანონ მათი საყვარელი გუნდის პილოტები: ალენ პროსტი და ჟან ალეზი, რომელთაგანაც ისინი საუკეთესო შედეგს ელიან.

დავით ჩუბინიძე

მკითხველი — გაზეთი



სადღაც ამოვიკითხე, რომ ლათინური ამერიკის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო სპორტსმენად ითვლება მოფარიკავე ფონსტი, რომელიც წარმოშობით, შვონი, კუბელი იყო. მართალია ფუ არა ეს, და, თუ მართალია, ბომ არ მოგეძებნებათ ცნობები მის შესახებ.

გ. თოდაძე.

თბილისი.

ეს მართლაც საოცარი რამონ ფონსტი

დიახ, იყო ასეთი მოფარიკავე XIX საუკუნის მიწურულსა და მეოცის დასაწყისში — რამონ ფონსტი (1883-1959 წ.წ.), რომელსაც, როგორც თქვენ აღნიშნეთ, სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ საუკეთესო სპორტსმენად მიიჩნევენ. იგი დაიბადა ჰავანაში, იქვე სწავლობდა და ფარიკაობაც მაშინ, ბავშვობის წლებში დაიწყო. მოგვიანებით ოსტატობის დახვეწის მიზნით მამამ სასწავლებლად ევროპაში გაგზავნა.

თავდაპირველად რამონი რომში ცხოვრობდა და ვარჯიშობდა ანტონიო კონტისთან. მერე გადავიდა პარიზში, სადაც მიაღწია კიდეც პირველ წარმატებებს. 1899 წელს 16 წლის რამონმა მოიგო „საფრანგეთში მცხოვრებ უცხოელთა მსოფლიო ჩემპიონატი“. აი, სწორედ მაშინ მიიქცია ახალგაზრდა კუბელმა სპეციალისტთა ყურადღება.

ერთი წლის შემდეგ პარიზში რამონ ფონსტი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა დაშნით ფარიკაობაში. აქვე ვერცხლის მედალი მიიღო მოჟვარულთა და მწვრთნელთა შორეულ ტურნირში. განსაკუთრებით კარგად ითამაშა მან სენტ-ლუისის ოლიმპიადაზე 1904 წელს, სადაც მოიპოვა 3 ოქროს მედალი (რაპირა, დაშნა და გუნდური რაპირა). ამის შემდეგ მას მედლების კოლექციონერი შეარქვეს.

რამონ ფონსტი მრავალმხრივი სპორტსმენი იყო და ამიტომაც აფასებდნენ მას უფრო მეტად თანამედროვენი. სულ თავისი სპორტული კარიერის მანძილზე მოიპოვა 125 მედალი და 25 დიდი პრიზი. იგი იყო ბრწყინვალე მსროლელი, ველოსიპედისტი, მოკრივე. მის კოლექციაში მსროლელის 44 მედალი და მოკრივის 8 მედალი და პრიზია. რამონ ფონსტს მოუგია პარიზის თასი ველოსპორტში და ოქროს დიდი მედალი სტენდზე. მას თანამედროვენი ხშირად „ორი საუკუნის საოცრებას“ უწოდებდნენ.

უეინ გრეცკის კიდევ ერთი რეკორდი

ნიუ-იორკი. სტენლის თასის გათამაშების ახლანდელ ეტაპზე ოთხ წყვილად დაყოფილი პროფესიონალ ჰოკეისტთა რვა უძლიერესი კოლექტივი მეორე წრეში გასასვლელად იბრძვის. ჯერჯერობით სხვებზე უკეთესი შანსები აქვთ „დეტროიტ რედ უინგზს“ და „ედმონტონ ოილერზს“. დეტროიტელებმა მეოთხე მატჩი „სენტ-ლუის ბლიუზთან“ აღმავლობით ჩაატარეს და ისიც თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს (4:3). ახლა მათ საბოლოო გამარჯვებისთვის სამი დარჩენილი მატჩიდან ერთის მოგებაც ჰყოფნით, ვინაიდან საერთო ანგარიშია 3:1.

ედმონტონის მენავთობეებიც ორი მატჩით არიან დაწინაურებულნი (აქაც ანგარიშია 3:1) „კალგარი ფლეიმზთან“ ორთაბრძოლაში. მეოთხე შეხვედრა „ედმონტონმა“ დამაჯერებელი ანგარიშით (5:2) მოიგო, თუმცა პირველი პერიოდის შემდეგ წინ იყო „კალგარი“ — 2:0.

თასის გათამაშების ამ ეტაპზე ბედი არ წყალობს ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს და ნხლ-ის ლიგის ახლანდელ ჩემპიონს „ჩიკაგო ბლეკ ჰოუქსს“. თითქოსდა ხელსაყრელ პოზიციაში მან მეოთხე მატჩი დათმო „მონრეალ ნორტ სტარზთან“ (1:3) და ამით გაათანაბრა საერთო ანგარიში — 2:2.

ასეთივე გაურკვეველი მდგომარეობაა „ლოს-ანჯელეს კინგზისა“ და „ვანკუვერ კანაკსის“ შვიდრაუნდიან დავაში. ბრეცკის გუნდმა („ლოს-ანჯელესმა“) მეოთხე შეხვედრა მეტოქეს დიდი ანგარიშით (6:1) მოუგო ინსავე მოედანზე და აღადგინა წონასწორობა — 2:2. ამ შეხვედრაში გრეცკიმ ნხლ-ის კიდევ ერთი ახალი რეკორდი დაამყარა: „პლეი-ოფის“ სერიის მატჩებში 93-ე შაიბა გაიტანა.

ეკლეიდოსკოპი

სად გეჩქარებოდა ვილი?

აშშ-ის საცხენოსნო სპორტის ისტორიაში მეორე ასეთ მხედარს, ალბათ, ვერც გაიხსენებთ. გარეგნულად ვილი შუმეიკერი დიდი ვერაფერი ბედენაა და, თუ ყურადღებას მაინც იპყრობს, მხოლოდ იმიტომ, რომ ჭონდრის კაცს წააგავს. მისი სიმაღლეა 148 სანტიმეტრი, წონა — 48 კილოგრამი.

მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ სწორედ ასეთი ფიზიკური მონაცემების წყალობით გახდა იგი ცხენოსნობის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი. თავად განსაჯეთ, შუმეიკერს ოთხჯერ მოუგია კენტუკის დერბი, ხუთჯერ — „ბელმონტ სტეიკსი“ და ორჯერ — „პრიკნესი“. ეს და სხვა შედარებით „უმნიშვნელო“ გამარჯვებები ფულზე რომ „გადავიყვანოთ“, გამოდის, რომ შუმეიკერს პრიზების სახით მოუღია... 123 მილიონი დოლარი. დიახ, ასეთი ზღაპრული თანხა მოიგო 58 წლის მხედარმა თავისი 41-წლიანი სპორტული კარიერის მანძილზე. და კიდევ ერთი დეტალი მისი სპორტული ბიოგრაფიიდან: 1958-1964 წლების განმავლობაში იგი აშშ-ის ჩემპიონად ითვლებოდა გამარჯვებათა რაოდენობითაც. სულ კი, სახელოვან ცხენოსანს მოგებული აქვს 8833 დოღი.

ბოლო დროს შუმეიკერი მუშაობდა მწვრთნელად სანტა-ანიტას იპოდრომზე. და აი, ამ რამდენიმე დღის წინ მოხდა უბედური შემთხვევა. ლოს-ანჯელესის მაღლობლად ავტომობილი („ფორდ ბრონკო-11“), რომელსაც იგი მართავდა, რამდენჯერმე გადაბრუნდა. დაზარალებული უმალ მიიყვანეს ჰოსპიტალში. ამჟამად შუმეიკერი მთლიანად პარალიზებულია და, როგორც ექიმები ამბობენ, ძალზე მცირეა მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი. პოლიციის განცხადებით, მძღოლი მთვრალი მართავდა მანქანას.

რედაქტორი

თენგიზ გაჩეჩილაძე

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო და თბილისის „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდი თანაგრძნობას უცხადებენ ამავე გუნდის წევრს დავით თორთლაძეს მამის

ბორის დავითის ძე თორთლაძის

გარდაცვალების გამო.

„ლელის“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე, კორექტორ ები: ე. ხომერიკი და მ. ძეძამიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ჭ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელი“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
ხელმძღვანი — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„შერანი“ — 93-97-56, „პარაგვი“ — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ყურნალ-გაზეთების გამომცემლობა „ხელოვნების“ სტამბა. 380009, თბილისი, ჭ. კოსტავას, 14. ofsetური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხიშარულის, 29.
რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20